

სამოქალაქო კაზუსების ამოხსნის მაგალითები

ეთერ ჩაჩანიძე

თბილისი 2012

კრებული გამოცემულია GIZ-ის პროგრამის „სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში“ მიერ.
Die Sammlung wurde vom GIZ-Programm
„Rechts- und Justizreformberatung im Südkaukasus“ herausgegeben.

წინამდებარე გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ
ინტერნეტ-გვერდზე www.giz.de/law-caucasus
Siehe auch die elektronische Fassung unter www.giz.de/law-caucasus



ISBN 978-9941-9181-9-3

შესავალი

იურისტების საქმიანობა უმთავრესად დაკავშირებულია ცხოვრებისეული მოვლენების, ურთიერთობების, პრობლემების სამართლებრივ განსჯასა და შეფასებასთან. სწორედ ცხოვრებისეული მრავალფეროვნება ხდის ამ პროფესიას ასე საინტერესოს და იმავდროულად რთულსაც. ანუ, ცვლილებები და სიახლეები ჩვენს ყოველდღიურობაში განაპირობებს იურისტის პროფესიის სირთულეს, რაც მჭიდრო კავშირშია კრეატიულ და შემოქმედებით მიდგომასთან. ამასთან, სამართალი, კანონი არ უნდა იცვლებოდეს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერთად, მაგრამ იგი მუდმივად უნდა ერგებოდეს და ესადაგებოდეს ამ ცვლილებებს, სიახლეებს, განვითარებას. სწორედ ეს არის ამ პროფესიის ყველაზე დიდი გამოწვევა. აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ სამართლის ნორმის გამოყენება-განმარტებისას აუცილებელია ერთგვარი სტრუქტურისა და მეთოდის დამკვიდრება, რომლებიც შეუნარჩუნებს კანონს აქტუალურობას და რომლებიც ეფუძნება ლოგიკას. აღნიშნული მეთოდი და სტრუქტურა ეხმარება იურისტს აბსტრაქტული (და ხშირად მოძველებული) ნორმის გამოყენებისას კონკრეტულ, ცხოვრებისეულ, სახეცვლილ და მრავალფეროვან მოვლენებზე. ამ მეთოდს სუბსუმცია ეწოდება. სტრუქტურას კი - დასკვნის სტილი.

წინამდებარე პუბლიკაცია განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის დამწყები სტუდენტებისთვის. იმედია, ისინი თავიანთი განათლების მიმდინარეობისას გაითავისებენ და განიმტკიცებენ ყველა წარმატებული იურისტის აუცილებელ უნარს, კერძოდ, ლოგიკურ, პრაქტიკულ და სტრუქტურულ აზროვნებასა და მიდგომას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პუბლიკაციაში ყურადღება გამახვილებულია (მხოლოდ) სამოქალაქო კაზუსების განხილვის მეთოდსა და სტრუქტურაზე.

სამოქალაქო კაზუსის განხილვა

კაზუსის მთავარი კითხვა

კაზუსის განხილვის დანწყებამდე, პირველ რიგში, უნდა გაარკვიოთ, რას ამონებთ და რა მოცულობით. აღნიშნულში დაგეხმარებათ კაზუსის მთავარი კითხვა, რომელიც დგას ფაბულის ბოლოს და რომელსაც აქვს არსებითი მნიშვნელობა კაზუსის განხილვისათვის; კერძოდ, ის არის სამართლებრივი ანალიზის შინაარსისა და მოცულობის განმსაზღვრელი. ამიტომ, ყურადღებით გმართებთ დაკვირვება და კითხვის სწორი, ზუსტი გააზრება, რათა (სწორი) პასუხი გასცეთ მას. ხშირად კაზუსი (ფაბულა) მოიცავს რამოდენიმე სამართლებრივ პრობლემას. ამიტომ დააკვირდით და გაიაზრეთ, თუ რომელი სამართლებრივი საკითხის გადაჭრას ითხოვენ თქვენგან და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდექით კაზუსზე მუშაობას. მაგალითად, თუ კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ რა მოთხოვნა აქვს "ა"-ს "ბ"-ს მიმართ, მაშინ მოგიწევთ "ა"-ს ყველა შესაძლო მოთხოვნის განხილვა "ბ"-ს მიმართ. ხოლო თუ საუბარია იმაზე, შეუძლია თუ არა "ა"-ს მოითხოვოს "ბ"-სგან ნიგნის გადაცემა, მაშინ თქვენი ანალიზიც სწორედ ამ კითხვის განხილვით უნდა შემოიფარგლოს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა თქვენი აზრით სხვა მოთხოვნებიც ვლინდებოდეს კაზუსიდან. თუ დავალება (მთავარი კითხვა) ფორმულირებულია შემდეგნაირად: "შეაფასეთ სამართლებრივი ვითარება", ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ უნდა იმსჯელოთ კაზუსის ყველა მონაწილის ყველა შესაძლო მოთხოვნაზე ერთმანეთის მიმართ. ხოლო თუ კითხვა უკავშირდება "ა"-ს მოთხოვნების შემონმებას, განხილვის საგანი უნდა იყოს მხოლოდ "ა"-ს მოთხოვნები, მაგრამ ყველა შესაძლო პირის (აღრესატის) მიმართ.

ამასთან, შემონმება ყოველთვის უნდა დაიწყეთ სახელშეკრულებო მოთხოვნებით და მათი გამორიცხვის შემთხვევებში გადახვიდეთ კანონისმიერი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შემონმებაზე.

იურიდიული მუშაობის მეთოდი: სუბსუმცია

მიზანი: სუბსუმციის მიზანია რეალობის სამართლებრივი ანალიზი და შეფასება. აღნიშნული მეთოდი გვეხმარება, ფაქტობრივ მოვლენებში დავი-

ნახოთ სამართლებრივი დატვირთვა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის რეალობის სამართლებრივი ანალიზის ყველაზე დიდი გამოწვევა, ვინაიდან ფაქტობრივი მოვლენები სხვადასხვა პერსპექტივიდან გვაძლევს ურთიერთგანსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას.

ნორმის გამოყენება კონკრეტულ ცხოვრებისეულ მოვლენაზე სუბსუმციის გზით

მოთხოვნის საფუძვლის მოძიება

ფაბულაში გადმოცემული ფაქტობრივი მოვლენების სამართლებრივი შეფასების მიზნით, უპირველესად, უნდა მოვიძიოთ სათანადო ნორმა, რომელსაც მოთხოვნის საფუძველი ეწოდება. იგი მოთხოვნის მფლობელისთვის, კერძოდ, კრედიტორისთვის წარმოშობს მოთხოვნის უფლებას, ხოლო მოვალისთვის - ვალდებულებას. სამოქალაქო კოდექსი უამრავ ნორმას იცნობს, რომლებიც თავისი სტრუქტურითა და დანიშნულებით განსხვავდება ერთიმეორისაგან. შესაბამისად, ყველა ნორმა არ არის მოთხოვნის საფუძვლის განმსაზღვრელი.

იმისათვის, რომ ნორმათა სიმრავლიდან გამოვარჩიოთ მოთხოვნის საფუძვლის განმსაზღვრელი ნორმები, უნდა ვიცნობდეთ ასეთი ნორმის სტრუქტურას. კერძოდ, ნორმა, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს, შედგება დისპოზიციისა და სამართლებრივი შედეგისაგან. ამასთან, ბუნებრივია, არ არის აუცილებელი, რომ იგი ვიზუალურადაც ორნაწილისაგან იყოს შედგენილი. საკმარისია ნორმა შინაარსობრივად იყოს აღნიშნული სტრუქტურის მქონე.

ანუ, დისპოზიცია აწესებს იმ ფაქტობრივ წინაპირობებს, რომლებიც ვალდებულა იმავე ნორმით განსაზღვრული შედეგის დადგომისათვის. მაგალითად, სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: "ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საჭონელი", ნორმის დისპოზიცია გახლავთ ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო მისი სამართლებრივი შედეგი - გამყიდველის ვალდებულება, გადასცეს მყიდველს ნივთი და საკუთრების უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ნორმაში ფორმულირებულია გამყიდველის ვალდებულება, ის იმავდროულად ადგენს მყიდველის უფლებას, მოსთხოვოს გამყიდველს ამ ვალდებულების შესრულება, კერძოდ, ნივთის გადაცემა და ა.შ. სწორედ ამიტომ ეწოდება ასეთ ნორმებს მოთხოვნის საფუძველი.

როგორ უნდა იპოვოთ მოთხოვნის სათანადო (შესაბამისი) საფუძველი?

ამაში ფაბულით გადმოცემული მოთხოვნა, პრეტენზია დაგეხმარებათ. კერძოდ, კონკრეტული შემთხვევისათვის შესაბამისი მოთხოვნის საფუძველია ის ნორმა, რომელიც ფაბულაში გაუღერებულ მოთხოვნას ითვალისწინებს მის სამართლებრივ შედეგად. ანუ, თუ კაზუსში საუბარია იმაზე, რომ "ა" "ბ"-სგან ითხოვს ნაყიდი მანქანის გადაცემას, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა მოძებნოთ ისეთი ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგიც იქნება ნაყიდი ნივთის გადაცემის მოთხოვნა, ანუ, სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილი.

მოთხოვნის საფუძვლის მოძიების შემდეგ ნორმის კონკრეტულ ცხოვრებისეულ შემთხვევაზე გავრცობის აუცილებელი წინაპირობაა მისი დისპოზიციისა და სამართლებრივი შედეგის გამიჯვნა. ამასთან, სწორედ ნორმის დისპოზიცია არის სუბსუმციის ამოსავალი წერტილი. დისპოზიცია შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამოდენიმე ელემენტისგან. მრავალელემენტიანი დისპოზიციის შემთხვევაში ცალკეული ელემენტი უნდა შემოწმდეს ცალკააღვე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ არსებობს კუმულატიური და ალტერნატიული დისპოზიციური ელემენტები. კუმულატიური ელემენტების შემთხვევაში აუცილებელია ყველა მათგანის არსებობა იმისათვის, რომ დადგეს ნორმის მეორე ნაწილით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი. ხოლო ალტერნატიული ელემენტების შემთხვევაში სამართლებრივი შედეგი დგება ასევე ერთ-ერთი მათგანის მოცემულობისას. ამასთან, შემოწმებისას გამოიყენება სილოგიზმის (ლოგიკური არგუმენტირების) შემდეგი სქემა:

I. ყველა ადამიანი მოკვდავია

II. სოკრატე არის ადამიანი

III. სოკრატე მოკვდავია

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კაზუსის ამოხსნის მეთოდის ფარგლებში მოხდა წარმოდგენილი კლასიკური სილოგიზმის გარკვეული მოდიფიკაცია. ჩვენ ვხედავთ, რომ სილოგიზმის დასაწყისში გვაქვს თეორემა, ხოლო შემდეგი ეტაპია ამ თეორემის შესატყვისის მოძიება კონკრეტულ შემთხვევაში. ამისათვის კი აუცილებელია, რომ აბსტრაქტულმა, ზოგადმა თეორემამ შეიძინოს რეალური, კონკრეტული კონტურები. სწორედ ამ მიზნით, კლასიკური სილოგიზმის მეორე საფეხურამდე ჩართულია დეფინიციის ანუ განმარტების საფეხური, რათა უფრო ხელმოსაჭიდი და გასაგები გახდეს, თუ როგორ გამოიყურება რეალობაში და რას მოიცავს თეორემით გათვალისწინებული ინსტიტუტები. აღნიშნული დეფინიციის შემდეგ, შესაძლებელი ხდება მისი შესატყვისის მოძიება კონკრეტულ განსახილველ ფაბულაში და ბოლო ეტაპზე უკვე შესაბამისი დასკვნის გაკეთება, რამდენად არის

სახეზე თანხვედრა თეორემასა და კაზუსში გადმოცემულ კონკრეტულ მოვლენას შორის. სუბსუმციის მეთოდით კაზუსის განხილვისას სილოგიზმის ბემოთხსენებულ სქემას წინ უსწრებს ვარაუდი (ჰიპოთეზა), რომელსაც ბუსტად უნდა პასუხობდეს დასკვნა/შედეგი (ვარაუდი: "შესაძლოა სოკრატე იყოს მოკვდავი"; დასკვნა/შედეგი: "სოკრატე მოკვდავია"). აღნიშნული ვარაუდი კი თავისმხრივ შემდეგი აგებულებისაა:

ვის? ვის მიმართ/ვისგან? რა? (მოთხოვნა) რის საფუძველზე? (კონკრეტული ნორმა - მოთხოვნის საფუძველი).

ვარაუდი გამომდინარეობს დასკვნის სტილის თავისებურებიდან, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტმა დასაწყისში არ იცის შედეგი. იგი მხოლოდ სავარაუდო, შესაძლო შედეგს აყალიბებს და დეტალური არგუმენტაციის გზით ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწვეს საბოლოო შედეგისაკენ. ამრიგად, (შუალედური და საბოლოო) შედეგი (დასკვნა, გადაწყვეტილება) დგას მსჯელობის ბოლოს.

გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია თითოეული საფეხური (I, II, III) თავის მხრივ მოიცავდეს რამოდენიმე პუნქტს!

დეფინიციის ეტაპზე გვჭირდება დამხმარე ნორმები, როგორც ლეგალური დეფინიციის წყარო და ასევე იურიდიული ინსტიტუტების განმარტების სხვა წყაროები (მაგალითად, კომენტარები, იურიდიული ლიტერატურა და სხვა).

დასკვნის სტილი სწორედ სილოგიზმის მოდიფიცირებულ სქემაზეა აგებული. ამასთან, ერთი კაზუსის ამოხსნისას აღნიშნული სქემა გამოიყენება მრავალჯერ, ყველა ცალკეული საკითხის განხილვისას. მაგალითად, როდესაც ვიხილავთ ნასყიდობიდან გამომდინარე მოთხოვნას სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ანუ, როგორც ბემოთ აღვნიშნე, ვამოწმებთ სახეზეა თუ არა ნორმით გათვალისწინებული დისპოზიცია, კერძოდ, ნასყიდობის ხელშკრულება, ვმსჯელობთ შემდეგნაირად:

ვარაუდი - შესაძლოა "ა"-ს (ვის?) "ბ"-ს მიმართ (ვის მიმართ?) ჰქონდეს მანქანის გადაცემის მოთხოვნის უფლება (რა?) სკ-ის 477-ე მუხლის პირველის ნაწილის საფუძველზე (რის საფუძველზე?).

(I) თეორემა - ამისათვის მათ შორის დადებული უნდა იყოს ნამდვილი ნასყიდობის ხელშკრულება.
ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია ნამდვილი ოფერტი და ნამდვილი აქცეპტი.

დეფინიცია - ოფერტი არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელიც (სკ-ის 329 I)

(II) კაზუსში შესატყვისის ძიება - შესაძლოა "ა"-ს წერილი იყოს ოფერტი სკ-ის 329 I-ის გაგებით

"ა"-ს წერილი შეიცავს

(III) დასკვნა/შედეგი - "ა"-ს წერილი არის ოფერტი.

დეფინიცია - აქცეპტი არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელიც

(II) კაზუსში შესატყვისის ძიება - შესაძლოა "ბ"-ს საპასუხო წერილი იყოს აქცეპტი სსკ-ის 329-ე და მომდევნო მუხლების გაგებით;

"ბ" "ა"-ს წერილობით დათანხმდა ყველა მის პირობაზე

(III) დასკვნა/შედეგი - "ბ"-ს საპასუხო წერილი არის აქცეპტი სკ-ის 329-ეს გაგებით.

თუ, მაგალითად, ნასყიდობის კაზუსში განსახილველი იქნება წარმომადგენლობა, ან ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ინსტიტუტი, შემოწმება იწყება (გრძელდება) იმავე სქემით. კერძოდ:

ვარაუდი - შესაძლოა "ა" იყოს "ბ"-ს წარმომადგენელი.

დეფინიცია - სკ-ის 103-ე და 104-ე მუხლების მიხედვით ამისათვის სავალდებულოა, რომ:

ა) წარმომადგენლობა იყოს დასაშვები,

ბ) "ა"-ს ემოქმედა "ბ"-ს სახელით,

გ) "ა"-ს გამოევიდინა საკუთარი ნება და

დ) "ა"-ს ემოქმედა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში.

როგორც ვხედავთ, წარმომადგენლობის მომწესრიგებელი ნორმის დისპოზიცია შეიცავს ოთხ კუმულატიურ ელემენტს, რომელთა ერთობლიობაც წარმოშობს ნამდვილ წარმომადგენლობას და შესაბამის შედეგებს როგორც წარმომადგენელი, ისე წარმოდგენილი პირისთვის. ამრიგად, აღნიშნული ელემენტების განხილვა უნდა მოხდეს სათითაოდ ზემოთ წარმო-

დგენილი სქემის მიხედვით. ყველა ასეთი ცალკეული ანალიზის ბოლოს დგას შუალედური დასკვნა ან შუალედური შედეგი. ხოლო ელემენტების შემონმების დასასრულს - საბოლოო შედეგი, ანუ, მოცემულ შემთხვევაში საბოლოო შედეგი გაცემდა პასუხს სახეზეა თუ არა ნამდვილი წარმომადგენლობა.

ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები სხვადასხვა (იურიდიულად მარტივი) კაზუსის ამოხსნასთან დაკავშირებით, დახმარებას გაგინევთ ზემოთ მოკლედ წარმოდენილი სტრუქტურისა და მეთოდის უკეთ გაგებასა და გააზრებაში.

კაზუსი №1

კერძო პირი "ბ" საქმიან ურთიერთობებშია მენარმე „ა“-სთან და ხშირად სარგებლობს სპეციალური ფასდაკლებებით. ერთ დღესაც, მას სურს მაღლიერება გამოხატოს "ა"-ს მიმართ და შესთავაზებს თავის ანტიკურ ძვირფას საწერ მაგიდას შეღავათიან ფასად. "ა" განაცხადებს, რომ ზოგადად დაინტერესებულია მაგიდის შექმნით და სთხოვს "ბ"-ს წერილობითი შეთავაზების გადაგზავნას. ამის შემდეგ "ა" მიიღებს შემდეგი შინაარსის წერილს:

"გთავაზობ ჩემს ანტიკვარულ საწერ მაგიდას 450 ევროდ. შემოთავაზება ძალაშია 31.12.2008-მდე".

ასეთი შეღავათიანი ფასით გახარებული „ა“ 30 დეკემბერს უგზავნის საპასუხო წერილს "ბ"-ს, სადაც სიამოვნებით ეთანხმება მის წინადადებას. თუმცა, „ა“ წერილს გზავნის თავისი თანამშრომელი "გ"-ს ფაქსზე, რომელიც ცხოვრობს "ბ"-ს მეზობლად და რომელსაც წარსულში არაერთხელ გადაუცია „ა“-ს ფაქსის გზავნილები "ბ"-სთვის. გარდა ფაქსისა, „ა“ თავის დაზღვევის მიზნით, იმეილსაც უგზავნის "ბ"-ს მის პირად ელექტრონულ საფოსტო მისამართზე. აღნიშნული მისამართი „ა“-სთვის "ბ"-სთან პირადი მიმონწერიდან არის ცნობილი. "ბ"-ს არაერთხელ აღუნიშნავს მასთან, რომ ამ მისამართს, ანუ საფოსტო ყუთს იგი არ იყენებს საქმიანი მიმონწერისათვის და შესაბამისად იშვიათადაც ამოწმებს. „ა“-სთვის ცნობილია, რომ ამ დროს "ბ" დასასვენებლად იმყოფება, საიდანაც 2009 წლის 4 იანვარს ბრუნდება და იმ დღესვე ეცნობა „ა“-ს მეილს. "გ" სამუშაო დღეებში ფაქსის მიწოდების რამოდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ 2009 წლის 5 იანვარს გადასცემს "ბ"-ს ფაქსს.

2009 წლის 10 იანვარს „ა“ ცხადდება "ბ"-სთან და სურს საწერი მაგიდის წაღება, რაზეც "ბ" უარს აცხადებს.

შუქლია თუ არა „ა“-ს მოსთხოვოს "ბ"-ს საწერი მაგიდის გადაცემა?

ამოხსნა:**"ა"-ს მოთხოვნა "ბ"-ს მიმართ საწერი მაგიდის გადაცემის თაობაზე**

"ა"-ს შესაძლოა "ბ"-ს მიმართ ჰქონდეს მოთხოვნა საწერი მაგიდის გადაცემის თაობაზე სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობად ითვალისწინებს ნასყიდობის ნამდვილ ხელშეკრულებას, რომლის წინაპირობებია ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა, კერძოდ, ნამდვილი ოფერტი და ნამდვილი აქცეპტი (შდრ. სკ-ის 329-ე და მომდევნო მუხლები).

I. ოფერტი

ოფერტი არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელიც უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას და ფორმულირებული იყოს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი მიღება უბრალო თანხმობით.

კაზუსში შესაძლოა "ა"-ს მიერ საწერი მაგიდის შექმნაზე ინტერესის გამოხატვა მიჩნეულ იქნას ოფერტად. ამისათვის ამ ინტერესის გამოხატველი განცხადება უნდა შეიცავდეს ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას. ფაბულის მიხედვით "ა" მხოლოდ თავის ზოგად ინტერესზე მიუთითებს "ბ"-ს და არ აკონკრეტებს შესაძლო ნასყიდობის არანაირ პირობას.

დასკვნა: "ა"-ს ინტერესის გამოხატულება არ წარმოადგენს ოფერტს.

ოფერტი შესაძლოა მოცემული იყოს "ბ"-ს წერილის სახით. წერილი შეიცავს ნასყიდობის ყველა არსებით პირობას, კერძოდ: ნასყიდობის საგანსა და ფასს და მიმართულია ერთი კონკრეტული პირის, კერძოდ "ა"-სადმი.

დასკვნა: ამრიგად, "ბ"-ს წერილი "ა"-ს მიმართ არის ნამდვილი ოფერტი.

II. აქცეპტი

ხელშეკრულების ნამდვილობისთვის აუცილებელია "ა"-ს მიეღოს "ბ"-ს ოფერტი. აქცეპტი არის ოფერტზე მიმართული მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, თანხმობა. ფაბულის მიხედვით "ა"-მ "ბ"-ს შეთავაზების (ოფერტის) მიღების მიზნით გაუგზავნა მეილიც და ფაქსიც და ამით გამოავლინა ოფერტის მიღების ნება.

ა. აქცეპტის მიღება

1. აქცეპტის ნამდვილობისთვის სავალდებულოა მისი მიღება. მიღება ნიშნავს მიმღების (ადრესატის) გავლენის სფეროში შეღწევას იმგვარად, რომ ადრესატს ჩვეულებრივ ვითარებაში ჰქონდეს მისი გაცნობის შესაძლებლობა.

2. გარდა ამისა, აქცეპტის მიღება უნდა განხორციელდეს ამისათვის კანონით (სკ-ის 330) ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (სკ-ის 331).

„ა“-ს მეილი

1. „ა“-ს მეილს უნდა შეეძინა "ბ"-ს გავლენის სფეროში. გავლენის სფეროში შეღწევა სახეზეა, როდესაც ნების გამოვლენა განთავსდება ამისათვის სათანადო ადგილას, რომელიც ვარგისია (სამართლებრივად მნიშვნელოვანი) ნების მისაღებად და მიმღების (ადრესატის) მიერ ამისათვის არის კიდევ განკუთვნილი.

ელექტრონული საფოსტო ყუთი შესაძლოა იყოს ასეთი სათანადო ადგილი. ჩვეულებრივ, შესაძლებელი და მიღებულია ელექტრონული საფოსტო ყუთის გამოყენება (სამართლებრივად მნიშვნელოვანი) ნების მისაღებად, მაგრამ საკითხავია რამდენად განკუთვნილია ასეთი შინაარსის ინფორმაციის მისაღებად პირადი ელექტრონული საფოსტო ყუთი. ფაბულის მიხედვით "ბ" მხოლოდ პირადი (არასაქმიანი) მიმონერისათვის სარგებლობდა თავისი პირადი ელექტრონული საფოსტო ყუთით და იზვიათად ამონებდა კიდევ მას. მან „ა“-ს სთხოვა კიდევ, რომ ამ უკანასკნელს საქმიანი წერილი არ გამოეგზავნა მისი პირადი ელექტრონული საფოსტო ყუთის საშუალებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საფოსტო ყუთი არ იყო ადრესატის მიერ (სამართლებრივად მნიშვნელოვანი) ნების მისაღებად განკუთვნილი.

შუალედური დასკვნა: იმეილის გაგზავნითა და მიღებით ადგილი არ ჰქონია "ბ"-ს გავლენის სფეროში შეღწევას.

1.1. მეილის ფაქტობრივი გაცნობა 2009 წლის 4 იანვარს

მეილი შესაძლოა მიღებულიყო მისი ფაქტობრივი გაცნობით. ფაბულის თანახმად "ბ"-მ 2009 წლის 4 იანვარს, შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ გახსნა თავისი პირადი ელექტრონული საფოსტო ყუთი და გაეცნო (საქმიანი) წერილის შინაარსს. მაშასადამე, სახეზეა მეილის გზით აქცეპტის ფაქტობრივი მიღება.

1.2. მიღების ვადა (დროულობა)

თუმცა, საკითხავია განხორციელდა თუ არა ოფერტის მიღება განსაზღვრულ ვადაში. სსკ-ის 330-ე მუხლის მიხედვით აქცეპტი უნდა განხორციელდეს მაშინვე, თუ ამისათვის მხარეების მიერ სხვა ვადა არ არის განსაზღვრული ოფერტის მისაღებად. ფაბულის თანახმად "ბ"-მ განუცხადა „ა“-ს, რომ იგი თავის ოფერტს სავალდებულოდ მიიჩნევდა მხოლოდ 31.12.2008-მდე, რაც ნიშნავს აქცეპტის ვადის განსაზღვრას სკ-ის 331-ე მუხლის გაგებით. შესაბამისად აქცეპტისათვის განსაზღვრული იყო ვადა 31.12.2008-მდე.

აქცეპტის დროული განხორციელება ნიშნავს მის მიღებას დათქმული ვადის გასვლამდე. „ა“-ს მეილი "ბ"-მ ფაქტობრივი გაცნობის გზით მიიღო 2009 წლის 4 იანვარს, რაც სცდება განსაზღვრულ ვადას. ამრიგად, სახეზე არ არის აქცეპტის განხორციელება ამისათვის განსაზღვრულ ვადაში.

შედეგი: მეილით გაგზავნილი აქცეპტი დროულად ვერ განხორციელდა. შესაბამისად, ამ გზით „ა“-მ ვერ მიიღო "ბ"-ს ოფერტი.

„ა“-ს ფაქსი

1. „ა“-ს ფაქსი უნდა მიეღო "ბ"-ს, ანუ შეეღწია მისი გავლენის სფეროში ისე, რომ "ბ"-ს ჩვეულებრივ გარემოებებში შესაძლებლობა ჰქონოდა გაცნობოდა მას. გავლენის სფეროში შეღწევა კი სახეზეა, როდესაც ნების გამოვლენა განთავსდება ამისათვის სათანადო ადგილას, რომელიც ვარგისია (სამართლებრივად მნიშვნელოვანი) ნების მისაღებად და მიმღების, ამ შემთხვევაში "ბ"-ს მიერ ამისათვის არის კიდევ განკუთვნილი. ფაბულის მიხედვით "ბ"-სთვის განკუთვნილი ფაქსი მიუვიდა "გ"-ს. კაბუსიდან არ ვლინდება, რომ "ბ" საქმიანი მიმონერისას ჩვეულებრივ სარგებლობდა "გ"-ს ფაქსით.

2. "გ" - როგორც "ბ"-ს წარმომადგენელი

შესაძლოა "გ"-ს, როგორც "ბ"-ს წარმომადგენელს მიეღოს მისი ფაქსი. ამისათვის სახეზე უნდა იყოს ნამდვილი წარმომადგენლობა, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს შემდეგი პირობების არსებობას:

- წარმომადგენლობის დასაშვებობა (სკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილი)
- საკუთარი ნების გამოვლენა წარმომადგენლის მიერ (სკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილი)
- მოქმედება სხვისი (წარმოდგენილის) სახელით (სკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილი)
- წარმომადგენლის უფლებამოსილება (მინდობილობა) (სკ-ის 103-ე მუხლის პირველი ნაწილი)

როგორც ფაბულიდან ჩანს „ა“-სა და „ბ“-ს შორის არსებულ ურთიერთობებში მიღებული იყო "გ"-ს ფაქსით სარგებლობა. ეს უკანასკნელი თავისი ფაქსით მიღებულ გზავნილს აწვდიდა მეზობლად მცხოვრებ "ბ"-ს. აღნიშნული ვერ აკმაყოფილებს ნამდვილ წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ გემოთხსენებულ წინაპირობებს. არც შუამავლობის წინაპირობების განხილვა მიგვიყვანს სხვა შედეგამდე, ვინაიდან "გ" იყო „ა“-ს თანამშრომელი, იგი სამუშაო დღეებში ასრულებდა თავის (სამსახურეობრივ) მოვალეობას და ცდილობდა "ბ"-სთვის გზავნილის ჩაბარებას და ვერ მოიაზრებდა მოცემულ შემთხვევაში ამ უკანასკნელის, ანუ "ბ"-ს შუამავლად.

დასკვნა: "გ" არ იყო "ბ"-ს არც წარმომადგენელი და არც მისი შუამავალი.

შედეგი: "გ"-სთვის ფაქსის გადაგზავნით "ბ"-ს აქცეპტი არ მიუღია.

3. ფაქსის გადაცემა "ბ"-სთვის 2009 წლის 5 იანვარს

ფაბულის მიხედვით "გ"-მ რამოდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ 2009 წლის 5 იანვარს, ანუ აქცეპტის მიღებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ გადასცა "ბ"-ს ფაქსი. შესაბამისად აქცეპტი მიღებულ იქნა დაგვიანებით.

შედეგი: "ბ"-ს არც ფაქსის მეშვეობით მიუღია განსაზღვრულ ვადაში აქცეპტი. შესაბამისად, ფაქსის მეშვეობით არ მომხდარა "ბ"-ს ოფერტის მიღება.

შუალედური შედეგი: „ა“-მ განსაზღვრულ ვადაში ვერ განახორციელა "ბ"-ს ოფერტის მიღება, შესაბამისად „ა“-სა და "ბ"-ს შორის არ არსებობს ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. ამრიგად, მოთხოვნა არ წარმოიშვა.

საბოლოო შედეგი: „ა“-ს არ აქვს უფლება მოსთხოვოს "ბ"-ს სანერი მაგიდის გადაცემა სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

კაზუსი №2

მერაბი ხვდება მეგობარს ღვინის აუქციონზე. იგი პირველად არის აუქციონზე და არ იცის, რომ ხელის აწევა ფასის შეთავაზებას ნიშნავს. მერაბი ამჩნევს მოშორებით მდგარ მეგობარს და ხელს უქნევს მას. აუქციონის წამყვანი ნოდარი მის ხელის აწევას აღიქვამს შემოთავაზებად (ოფერტად), რომელიც გამოცხადებულ ფასს აუქციონის წესებისამებრ აღემატება 100 ერთეულით. იგი ჩაქუჩის დარტყმით ეთანხმება ახალ შემოთავაზებას, ამტკიცებს მას და აცხადებს მერაბს ერთი ბოთლი ძვირფასი ღვინის შესაკუთრედ.

უნდა გადაიხადოს თუ არა მერაბმა ბოთლი ღვინის საფასური?

ამოხსნა:

ნოდარის მოთხოვნა მერაბის მიმართ ბოთლი ღვინის საფასურის თაობაზე

ნოდარს შესაძლოა მერაბის მიმართ ჰქონდეს ბოთლი ღვინის საფასურის გადახდის მოთხოვნა სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

ამისათვის სკ-ის 477-ე მუხლი ითვალისწინებს ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას, რომლის წინაპირობებია ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა, კერძოდ, ნამდვილი ოფერტი და ნამდვილი აქცეპტი (შდრ. სკ-ის 329-ე და მომდევნო მუხლები).

I. ოფერტი

არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელიც უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას და ფორმულირებული იყოს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი მიღება უბრალო თანხმობით.

საკითხავია, მოცემულ შემთხვევაში, აუქციონერის მიერ ნივთის (ღვინის ბოთლის) შესაბამის ფასად გამოცხადება არის თუ არა ოფერტი სკ-ის 329-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით.

ამგვარი გამოცხადება მიმართულია აუქციონზე დამსწრე ფართო, განუსაზღვრელი წრისათვის. შესაბამისად, აქ სახეზეა მონ-ვევა ოფერტზე სკ-ის 329-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით.

ამრიგად, აუქციონერის გამოცხადება არ არის ოფერტი.

შესაძლოა, მერაბის ხელის აწევა იყოს ოფერტი სკ-ის 329-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით. საკითხავია, რამდენად აკმაყოფილებს ხელის აწევა ნამდვილი ნების გამოვლენის წინაპირობებს. ამისათვის საჭიროა ნების გამოვლენა განვმარტოთ სკ-ის 52-ე მუხლის მიხედვით და ცალ-ცალკე განვიხილოთ შემადგენელი ელემენტები - ნება და გამოვლენა თავიანთი წინაპირობებით.

ა) გამოვლენა, გამოხატვა

გამოვლენისათვის საკმარისია ხელის აწევა. უბრალო ჟესტით, მოძრაობითაც შეიძლება ნამდვილი ნების გამოვლენა. ამისათვის არ არის აუცილებელი რაიმე ფორმალისტული ქმედების განხორციელება.

ამრიგად, გამოვლენა სახეზეა მერაბის ხელის აწევით.

ბ) ნება

ნებას აქვს ობიექტური შემადგენლობა და სუბიექტური შემადგენლობა.

ობიექტური შემადგენლობა

ნების ობიექტური შემადგენლობა სახეზეა, როდესაც განსახილველი ქმედება მესამე ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან (პერსპექტივიდან) აღიქმება სამართლებრივად მბოჭველი ნების გამოვლენად.

ფაბულის მიხედვით აუქციონზე მოქმედი წესების თანახმად, ხელის აწევა ნიშნავს ბოლო შეთავაზებულ ფასზე 100 ერთეულით მეტი ფასის შეთავაზებას. შესაბამისად, აუქციონის ფარგლებში და მის პირობებში მერაბის ხელის აწევა მესამე ობიექტური დამკვირვებლის მიერ აღქმული იქნებოდა ახალი ფასის შეთავაზებად.

ამრიგად, სახეზეა ნების ობიექტური შემადგენლობა.

სუბიექტური შემადგენლობა

ნების სუბიექტური შემადგენლობა თავის მხრივ სამი კომპონენტისაგან შედგება, რომლებსაც სხვადასხვაგვარი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს მისი ნამდვილობის კუთხით. ეს კომპონენტებია:

1. მოქმედების ნება

მოქმედების ნება მიმართულია მხოლოდ მოქმედებაზე მისი სიტყვასიტყვითი გაგებით. აღნიშნული ნიშნავს პირის ნებას, იმოქმედოს. მოქმედების ნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ნების გამოვლენის ნამდვილობისთვის. მისი არარსებობა იწვევს ნების გამოვლენის ბათილობას გამოვლენის მომენტიდან. მოცემულ კაზუსში მერაბმა მეგობარს ხელი დაუქნია. ანუ თავისი ნებით იმოქმედა.

დასკვნა: ამრიგად, სახეზეა მოქმედების ნება.

2. ბოჭვის ნება

ბოჭვის ნება მიმართულია განხორციელებული ქმედებით კონკრეტული სამართლებრივი შედეგის გამონწვევაზე. ანუ, მოქმედ პირს უნდა სურდეს თავისი ქმედებით რაიმე სამართლებრივი შედეგის მიღწევა. ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის ბოჭვის ნების მნიშვნელობასთან დაკავშირებით დოქტრინაში არსებობს სხვადასხვაგვარი მოსაზრება, თუმცა, აქ ამ კამათს არ ჩავუღრმავდები და წარმოგიდგინთ გაბატონებულ პოზიციას, რომლის თანახმადაც ბოჭვის ნების არარსებობა იწვევს (მხოლოდ) ნების გამოვლენის საცილობას და არა მის ბათილობას.

განსახილველ კაზუსში მერაბმა ასწია ხელი და მეგობარს მიესალმა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას თავისი მოქმედებით არანაირი სამართლებრივი შედეგის დადგომა და გამონწვევა არ სურდა. მისი სურვილი (ნება) შემოიფარგლებოდა მხოლოდ მეგობართან სოციალური კონტაქტის დამყარებით, რაც ნამდვილად არ მოიაზრება ბოჭვის ნებაში.

დასკვნა: ბოჭვის ნება არ არის სახეზე.

3. გარიგების დადების ნება

აღნიშნული მიმართულია კონკრეტული შინაარსისა და სახის გარიგების დადებაზე. მისი არარსებობაც, ბოჭვის ნების მსგავსად, იწვევს ნების გამოვლენის საცილობას. მოცემულ კაზუსში არ არის სახეზე ბოჭვის ნება, რაც თავისთავად გამორიცხავს გარიგების დადების ნებასაც.

დასკვნა: გარიგების დადების ნება არ არის სახეზე.

შეაღწერილი შედეგი: ხელის აწევით მერაბმა გამოავლინა ნამდვილი ნება.

შედეგი: მერაბმა ხელის აწევით განახორციელა ოფერტი აუქციონის წესების შესაბამისად.

II. აქცეპტი

ხელშეკრულების ნამდვილობისთვის აუცილებელია აუქციონერ ნოდარს მიეღო მერაბის ოფერტი. აქცეპტი არის ოფერტზე მიმართული მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, თანხმობა. ფაბულის თანახმად აუქციონერმა დააფიქსირა მერაბის ხელის აწევა და ჩაქურჩის დარტყმით დაეთანხმა მის ახალ შემოთავაზებას. აღნიშნული წარმოადგენს ოფერტზე მიმართულ თანხმობას, კერძოდ, აქცეპტს.

შედეგი: ნოდარმა ჩაქურჩის დარტყმით და ახალი შემოთავაზებული ფასის დამტკიცებით განახორციელა ნამდვილი აქცეპტი.

დასკვნა: ნამდვილი ოფერტისა და ნამდვილი აქცეპტის შედეგად სახეზეა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება.

შედეგი: მოთხოვნა წარმოიშვა (თუმცა, მერაბის ნების გამოვლენა საცილოა).

საბოლოო შედეგი: აუქციონერ ნოდარს აქვს უფლება მოსთხოვოს მერაბს ბოთლი ღვინის ფასის გადაცემა სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

დამატებითი განმარტებები წარმოდგენილ კაზუსთან დაკავშირებით:

ნების გამოვლენის ნამდვილობასთან დაკავშირებით ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის შედეგად მივიღით დასკვნამდე, რომ ნების გამოვლენა საცილოა ბოჭვის ნების (და ასევე გარიგების დადების ნების) არარსებობის გამო.

საკითხავია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რომელი ნორმა ითვალისწინებს აღნიშნულ გარემოებას შეცდომების საფუძვლად. შესაძლოა საქმე გვექონდეს არსებით შეცდომასთან, რომელსაც ითვალისწინებს სკ-ის 72-ე მუხლი და განმარტავს 73-ე მუხლი "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით. წინამდებარე შემთხვევაში არც რაიმე სხვა გარიგების დადების ნებაზეა საუბარი ("ა" ქვეპუნქტი) და არც გარიგების შინაარსთან დაკავშირებულ შეცდომაზე ("ბ" ქვეპუნქტი), ვინაიდან მერაბს აზრადაც არ მოსვლია რაიმე შინაარსისა და ფორმის გარიგების დადება. შესაძლოა მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყოს სკ-ის 73-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც არსებით შეცდომად ითვლება იმ გარემოებათა არარსებობა, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად.

მერაბი აუქციონზე ხელის აწევით მიესალმა მეგობარს, რის შედეგადაც გამოიწვია მისთვის არასასურველი სამართლებრივი შედეგი, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას არ გამოუვლენია ბოჭვის და გარიგების დადების ნება, რაც გარიგების არსებითი საფუძველია (სკ-ის 50-ე მუხლი). კონკრეტულად ნასყიდობას თუ განვიხილავთ, მისი ნამდვილობისათვის სავალდებულოა ნამდვილი ოფერტი და ნამდვილი აქცეპტი, რაც მოცემულ შემთხვევაშიც სახეზეა. თუმცა, სკ-ის 73-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტი საუბრობს კეთილსინდისიერების პრინციპზე, რაც შეიძლება ჩვენს შემთხვევაში გახდეს ხელმოსაჭიდი მერაბის სასარგებლოდ. წინამდებარე ნორმა ორივე მიმართულებით შეიძლება განიმარტოს და შესაბამისად შეიძლება დადგეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული შედეგი. ერთ შემთხვევაში შეცილება განხორციელებული იქნება სკ-ის 73-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის საფუძვლით, ხოლო მეორეში - არა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს შესაბამის საფუძველს.

გამომდინარე იქედან, რომ წინამდებარე პუბლიკაცია არ უღრმავდება და მოიცავს ნორმის განმარტების თეორიებსა და საკითხებს, არც აღნიშნული ნორმის სხვადასხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას განვიხილავ.

ვინაიდან აღნიშნული კაზუსი გერმანიის სინამდვილიდან მოდის და მეტად საინტერესოა ნების გამოვლენის ნამდვილობის განხილვის კუთხით, მიუხედავად ჩვენს კანონში ამ შემთხვევაზე ზუსტად მორგებული შეცდომების საფუძვლის არარსებობისა მაინც მიზანშეწონილად ჩავთვალე მისი წარმოდგენა, ვინაიდან მიმაჩნია, რომ დამწყები სტუდენტი უნდა იცნობდეს და აანალიზებდეს ნების გამოვლენის მატერიალურ შემადგენლობასა და მის ცალკეულ ელემენტებს.

აქვე წარმოგიდგინებ ნორმას გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან, რომელიც ითვალისწინებს ასეთი სახის შეცდომას შეცილების საფუძვლად, კერძოდ §119-ის პირველი ნაწილი:

“(1) პირს, რომელმაც ნების გამოვლენის დროს დაუშვა შეცდომა ნების გამოვლენის შინაარსთან დაკავშირებით ან მას საერთოდ არ ჰქონია განზრახვა ასეთი შინაარსით ნების გამოვლენისა, შეუძლია საცილო გახადოს ნების გამოვლენა, თუ ივარაუდება, რომ იგი არ გააკეთებდა ნების გამოვლენას საქმის ვითარების ცოდნისას ან მისი გონივრული შეფასებისას.”

გერმანული კანონისაგან განსხვავებით ჩვენი სამოქალაქო კოდექსი შეცდომის განმარტებისას 73-ე მუხლის “ა” და “ბ” ქვეპუნქტებში მაინც გამომდინარეობს გარიგების დადების ნებიდან, თუმცა არა იმ შინაარსისა და სახეობის, რომელზეც მან გარეგნულად თითქოსდა გამოხატა ნება.

აღნიშნულისგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §119 საუბრობს ნების გამოვლენის შინაარსში დაშვებულ შეცდომაზე, ანუ იმაზე, რომ პირი შეცდა თავისი ქმედების (სამართლებრივ) მნიშვნელობაში, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა.

ამრიგად, გერმანიის სკ-ის მიხედვით სახეზე იქნებოდა შეცილების საფუძველი. განხილვა გაგრძელდებოდა შეცილების სხვა წინაპირობების, კერძოდ, შეტყობინებისა და ვადის შემონიშნებით, რომელთაგან ორივეს გაეცემოდა დადებითი პასუხი და საბოლოოდ მოთხოვნა ჩაითვლებოდა შეწყვეტილად მერაბის მიერ განხორციელებული ნამდვილი შეცილების შედეგად.

კაზუსი №3

"ბ"-ს მართებს "ა"-სთვის 500 ლარი მათ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. როდესაც "ა" მოსთხოვს მას აღნიშნული თანხის გადახდას, "ბ" განუცხადებს მის მიმართ 300 ლარის ოდენობით არსებული სასესხო ვალდებულების მოთხოვნასთან გაქვითვის თაობაზე.

"ა" ამაზე პასუხობს, რომ მას სრულად აქვს დაფარული სასესხო ვალდებულება და გამორიცხავს ურთიერთმოთხოვნათა არსებობას, რასაც "ბ" უდავება.

სასამართლოში "ა" ახერხებს მხოლოდ 200 ლარის ოდენობით სესხოს ვალდებულების დაფარვის ფაქტის დამტკიცებას.

შეკითხვა: შეუძლია "ა"-ს მოსთხოვოს "ბ"-ს 500 ლარის გადახდა?

ამოხსნა:

"ა"-ს მოთხოვნა "ბ"-ს მიმართ 500 ლარის გადახდაზე

შესაძლოა "ა"-ს "ბ"-ს მიმართ ჰქონდეს 500 ლარის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობად ითვალისწინებს ნასყიდობის ნამდვილ ხელშეკრულებას, რომლის წინაპირობებია ნადვილი ოფერტი და ნამდვილი აქცეპტი. ფაბულაში ვკითხულობთ, რომ მხარეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვა 500 ლარის გადახდის ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემულ კაზუსში პრობლემა არ იკვეთება ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობის ფაქტი.

შესაბამისად დადგენილად მიიჩნევა ნამდვილი ნასყიდობის არსებობა "ა"-ს და "ბ"-ს შორის. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიანოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი (სკ-ის 477-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილი). მოცემულ კაზუსში "ბ" არის მყიდველი, რომელიც ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს, ანუ "ა"-ს შეთანხმებული ფასი, ანუ - 500 ლარი.

შედეგი: ნამდვილი ნასყიდობის საფუძველზე "ა"-ს წარმოეშვა "ბ"-სგან შეთანხმებული ფასის მოთხოვნის უფლება 500 ლარის ოდენობით სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა მოთხოვნა შეწყვეტილიყო ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შედეგად (სკ-ის 442-ის პირველი ნაწილი). ამისათვის აუცილებელია:

- ა. საპირისპირო მოთხოვნის/ვალდებულების არსებობა,
- ბ. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის დასაშვებობა,
- გ. საპირისპირო მოთხოვნის/ვალდებულების შესრულების ვადამოსულობა,
- დ. შეტყობინება მეორე მხარისათვის.

ა. საპირისპირო მოთხოვნის/ვალდებულების არსებობა (წარმოშობა)

საპირისპირო მოთხოვნა სახეზე უნდა იყოს იმავე მხარეებს შორის.

მოთხოვნის წარმოშობა

წინამდებარე შემთხვევაში საუბარია სასესხო ვალდებულებაზე სკ-ის 623-ე და მომდევნო მუხლების გაგებით. სასესხო ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე, გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს მიღებული (სკ-ის 623-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში "ა" არის მსესხებელი, ვინაიდან საუბარია "ბ"-სთვის სასესხო თანხის დაბრუნებაზე. ამრიგად "ა"-ს წარმოეშვა "ბ"-ს მიმართ სასესხო თანხის დაფარვის ვალდებულება, ხოლო "ბ"-ს სასესხო თანხის დაფარვის

მოთხოვნა. კაზუსიდან იკვეთება, რომ სასესხო ვალდებულების ოდენობაა 500 ლარი. შესაბამისად საპირისპირო მოთხოვნა სახეზეა 500 ლარის ოდენობით.

ა.ა. საპირისპირო მოთხოვნის შეწყვეტა

თუმცა, შესაძლოა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა შეწყდა შესრულებით. ფაბულის თანახმად "ა" სწორედ სასესხო ვალდებულების სრულად შესრულებაზე მიუთითებს, რასაც "ბ" ხდის სადაოდ. დავის შემთხვევაში ყველა მხარეს აწევს მისთვის ხელსაყრელი გარემოების მტკიცების ტვირთი. ის გარემოება, რომ სასესხო ვალდებულება სრულად შესრულდა, ხელსაყრელია "ა"-სთვის. შესაბამისად მტკიცების ტვირთიც მას ეკისრება. ფაბულის მიხედვით "ა" მხოლოდ 200 ლარის გადახდის დამტკიცებას ახერხებს. ხოლო სასესხო ვალდებულება არსებობდა 500 ლარის ოდენობით. შესაბამისად, "ა"-ს ეკისრება დარჩენილი 300 ლარის გადახდის მტკიცების ტვირთიც და რისკიც. მოცემულ შემთხვევაში "ა" ვერ ამტკიცებს ვალდებულების სრული დაფარვის ფაქტს.

ამრიგად, ვალდებულება შესრულებულია ნაწილობრივ.

მოთხოვნა შეწყდა მხოლოდ 200 ლარის ოდენობით.

ა.ბ. საპირისპირო მოთხოვნის განხორციელებადობა

აღნიშნულთან დაკავშირებით მოცემული ფაბულიდან არანაირი პრობლემა არ იკვეთება. მაშასადამე, მოთხოვნა განხორციელებადია.

შუალედური შედეგი: საპირისპირო მოთხოვნა არსებობს 300 ლარის ოდენობით.

ბ. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის დასაშვებობა

წინამდებარე კაზუსში არ იკვეთება ისეთი გარემოებები, რომლებიც მიანიშნებს სკ-ის 447-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნათა გაქვითვის დაუშვებლობის საფუძვლების არსებობაზე.

შუალედური შედეგი: მოთხოვნათა გაქვითვა არ არის დაუშვებელი სკ-ის 447-ე მუხლის საფუძველზე.

გ. საპირისპირო მოთხოვნის/ვალდებულების შესრულების ვადამოსულობა

ფაბულიდან არც ამ კუთხით იკვეთება რაიმე პრობლემა. ვადაშოს ვალდებულება, როდესაც კრედიტორს შეუძლია მისი შესრულების მოთხოვნა. როდესაც "ა" აცხადებს, რომ მას სასესხო ვალდებულება შესრულებული აქვს სრულად, ამით იგი კონკლუდენტურად (არაპირდაპირ, არავერბალურად) აცხადებს, რომ ეს ვალდებულება იყო (არის) ვადაშოსული, რასაც არც "ბ" ხდის სადაოდ.

შედეგი: ამრიგად, "ა"-ს ვალდებულება, დაებრუნებინა "ბ"-სთვის სასესხო თანხა, არის ვადაშოსული.

დ. შეტყობინება მეორე მხარისათვის

შეტყობინება არ გულისხმობს რაიმე ფორმალური ხასიათის განცხადებას და მიმართვას. ამისათვის საკმარისია მეორე მხარისათვის ცნობილი გახდეს მხარის ინტერესი მოთხოვნის გაქვითვის თაობაზე. ფაბულის მიხედვით "ბ"-მ განუცხადა "ა"-ს მის მიმართ 300 ლარის ოდენობით არსებული სასესხო ვალდებულების მოთხოვნასთან გაქვითვის შესახებ.

შედეგი: "ა"-ს მისამართით შეტყობინება განხორციელდა.

შედეგი: ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე "ა"-ს მოთხოვნა (500 ლარი) ნაწილობრივ (200 ლარის ოდენობით) გაიქვითა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით. სკ-ის 444-ე მუხლისა და 442-ე მუხლი პერველი ნაწილის მიხედვით გაქვითვის შედეგად შეწყდა სასესხო ვალდებულება, ხოლო ნასყიდობიდან გამომდინარე მოთხოვნა სახეზეა 300 ლარის ოდენობით.

შედეგი: "ა"-ს მოთხოვნა "ბ"-ს მიმართ 500 ლარის გადახდაზე ნაწილობრივ შეწყდა 200 ლარის ოდენობით მხარეთა შორის არსებული სასესხო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებასთან გაქვითვის შედეგად.

III. მოთხოვნის განხორციელებადობა

ფაბულიდან არ იკვეთება გარემოებები, რომლებიც შესაძლოა აფერხებდნენ მოთხოვნის განხორციელებას.

საბოლოო შედეგი: "ა"-ს აქვს "ბ"-ს მიმართ 300 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

კაზუსი №4

ბ-ნი ბონა სთხოვს თინას ფირფიტის ყიდვას გაჩუქების მიზნით 50 ლარის ფარგლებში. თინა ბაქარიასგან იყიდის ფირფიტას 49 ლარად, რომელსაც ისინი ერთობლივად შეარჩევენ პრეტენზიული ბონასთვის. როდესაც თინა ბრუნდება ნაყიდი ფირფიტით, ბ-ნი ბონა უარს ამბობს ფასის გადახდაზე იმ მიზეზით, რომ მას ფირფიტა არ მოსწონს.

შეუძლია თუ არა ბაქარიას მოსთხოვოს ბ-ნი ბონას თანხის გადახდა?

ამოხსნა:

ბაქარიას მოსთხოვნა ბ-ნი ბონას მიმართ

შესაძლოა ბაქარიას ბ-ნი ბონას მიმართ ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს ნივთის საფასური 49 ლარის ოდენობით სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობად ითვალისწინებს ნასყიდობის ნამდვილ ხელშეკრულებას, რომლის წინაპირობებია ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა, კერძოდ, ნამდვილი ოფერტი და ნამდვილი აქცეპტი (შდრ. სკ-ის 329-ე და მომდევნო მუხლები).

მოცემული კაზუსიდან არ იკვეთება ოფერტისა და აქცეპტის დეტალები და არც მათთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემები. ამრიგად, ივარაუდება, რომ მხარეები ამისათვის სათანადო წესით შეთანხმდნენ ხელშეკრულების ძირითად პირობებზე. შესაბამისად, სახეზეა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება.

თუმცა, შეთანხმება მოხდა ბაქარიასა და თინას შორის და არა ბაქარიასა და ბ-ნ ბონას შორის, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული მოთხოვნა. ანუ, ბ-ნი ბონა უშუალოდ არ მონაწილეობდა ხელშეკრულების დადების პროცესში.

წინამდებარე შემთხვევაში შესაძლოა ბ-ნი ბონა არაპირდაპირი გზით, კერძოდ წარმომადგენლის მეშვეობით გახდა ხელშეკრულების მხარე. ამისათვის სახეზე უნდა იყოს ნამდვილი წარმომადგენლობა, კერძოდ, თინა ბაქარიასთან შეთანხმებისას უნდა ყოფილიყო ბ-ნი ბონას წარმომადგენელი სკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით. აღნიშნული მუხლით მოწესრიგებული ნამდვილი წარმომადგენლობა ითვალისწინებს შემდეგი პირობების არსებობას:

ა) წარმომადგენლობის დასაშვებობა (სკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

ბ) საკუთარი ნების გამოვლენა წარმომადგენლის მიერ (სკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილი)

გ) მოქმედება სხვისი (წარმომადგენლის) სახელით (სკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილი)

დ) წარმომადგენლის უფლებამოსილება (მინდობილობა) (სკ-ის 103-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ა) წარმომადგენლობის დასაშვებობა

წარმომადგენლობა დასაშვებია ყოველთვის, გარდა კანონით პირდაპირ აკრძალული და ისეთი შემთხვევებისა, როდესაც გარიგების ბუნებიდან გამომდინარე სავალდებულოა მხარის უშუალო მონაწილეობა (სკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ასეთი გარიგებებია უკიდურესად პირადი ხასიათის მატარებელი ნების გამოვლენა, მაგალითად, როგორცაა ქორწინება და ანდერძი. მოცემულ შემთხვევაში საუბარია საჩუქრის, კერძოდ, ფირფიტის შექმნაზე, რაც არ არის უკიდურესად პირადი ხასიათის გარიგება.

შუალედური შედეგი: ამრიგად, წინამდებარე კაზუსში წარმომადგენლობა დასაშვებია.

ბ) საკუთარი ნების გამოვლენა წარმომადგენლის მიერ

გარდა დასაშვებობისა წარმომადგენლობის ნამდვილობის-

ვის აუცილებელია საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედება წარმომადგენლის მიერ, ანუ საკუთარი ნების გამოვლენა. სწორედ აღნიშნული პირობა განასხვავებს წარმომადგენელს შუამავლისაგან.

ფაბულის მიხედვით თინამ შეარჩია ფირფიტა. თავისთავად ცხადია, რომ მან ეს ფირფიტა შეარჩია საკუთარი შეხედულებებით და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

შუალედური შედეგი: თინამ ფირფიტის შერჩევასა და შეძენისას გამოავლინა საკუთარი ნება.

გ) მოქმედება სხვისი (წარმოდგენილის) სახელით

აუცილებელია, რომ წარმომადგენლობა იყოს შეცნობადი, ანუ მოქმედება ხდებოდეს წარმოდგენილი პირის სახელით. ამისათვის არ არის აუცილებელი ოფიციალური განცხადებები ან სიტყვა „წარმომადგენლობის“ ხსენება. არამედ საკმარისია მესამე პირი (ანუ ხელშეკრულების მეორე მხარე) მიხვდეს, რომ წარმომადგენელთან არ ხდება ხელშეკრულების დადება.

ფაბულის მიხედვით მესამე პირი, ანუ, ბაქარია მონაწილეობს პრეტენზიული ბონასთვის საჩუქრის შერჩევაში, რაც აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ მან იცის, რომ საჩუქარი განკუთვნილია ბ-ნი ბონასთვის. შესაბამისად, მან იცის წარმომადგენლობის შესახებ.

შუალედური შედეგი: თინა მოქმედებდა წარმოდგენილის (ბ-ნი ბონას) სახელით.

დ) წარმომადგენლის უფლებამოსილება (მინდობილობა, რწმუნებულება)

სკ-ის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით უფლებამოსილების (რწმუნებულების) გაცემა ხდება, მათ შორის, რწმუნებულის მიმართ ნების გამოვლენით. ფაბულის თანახმად ბ-ნმა ბონამ სთხოვა თინას მისთვის საჩუქრის ყიდვა. ამით მან გამოხატა ნება თინასთვის აღნიშნული გარიგების დადების მიზნით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

მოცემულ შემთხვევაში არც იმავე ნორმის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ფორმის დაცვის ვალდებულებაა დადგენილი.

შესაბამისად, თინა მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე სკ-ის 197-ე მუხლის გაგებით.

ამასთან, აღნიშნული წინაპირობა მოიაზრებს ასევე, რომ წარმომადგენელი უნდა მოქმედებდეს მისთვის რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. წინამდებარე შემთხვევაში თინას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეზღუდული იყო ნივთის გვაროვნული დახასიათებით - ფირფიტით და თანხით, კერძოდ, 50 ლარის ოდენობით. სხვაგვარი შეზღუდვები ან უფლებამოსილების ფარგლები კაზუსიდან არ ვლინდება.

ფირფიტა თინამ შეიძინა 49 ლარად, რითაც იგი მოექცა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და არ გადაუჭარბებია მისთვის.

შედეგური შედეგი: თინა მოქმედებდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში.

დასკვნა: გემოთაღნიშნული შემონმება გვაძლევს დასკვნის საფუძველს, რომ მოცემულ კაზუსში სახეზეა სკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია (მისი ოთხივე ელემენტი), კერძოდ, ნამდვილი წარმომადგენლობა. აღნიშნული ნორმა ნამდვილი წარმომადგენლობის (დისპოზიციის) სამართლებრივ შედეგად ითვალისწინებს გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობას მხოლოდ წარმოდგენილი პირისათვის. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი პირია ბ-ნი ბონა. შესაბამისად, მას ეკისრება ნასყიდობით გათვალისწინებული ვალდებულებები, კერძოდ, შეთანხმებული ფასის გადახდა და შესრულების მიღება (სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

შედეგი: მოთხოვნა წარმოიშვა.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

შესაძლოა მოთხოვნა შეწყდა. სამოქალაქო კოდექსი მოთხოვნის შეწყვეტის რამოდენიმე შემთხვევას იცნობს, მათ შორის: შესრულებას, დეკონირებას და შეცილებას. წინამდებარე კაზუსში მისი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ყურადღებას გავამახვილებთ შეცილების გზით მოთხოვნის შეწყვეტაზე.

შესაძლოა ბაქარიას მოთხოვნა ბ-ნი ბონას მიმართ შეწყდა ამ უკანასკნელის მიერ შეცილების გზით, ვინაიდან იგი უარს აცხადებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე და ამით ცდილობს ამ ვალდებულებისაგან (ხელშეკრულებისაგან) გათავი-

სუფლებას. შეცილებისათვის სავალდებულოა შემდეგი წინაპირობების არსებობა:

ა) შეცილების საფუძველი,

ბ) შეტყობინება შეცილების შესახებ (მეორე მხარის მიმართ) (სკ-ის 72-ე და მომდევნო მუხლები) და

გ) შეცილების ვადის დაცვა (სკ-ის 79-ე მუხლის პირველი ნაწილი)

ა) შეცილების საფუძველი

წინამდებარე კაზუსში შესაძლოა შეცილების საფუძველი იყოს არსებითი შეცდომა ნების გამოვლენისას (სკ-ის 72-ე და მომდევნო მუხლები). შეცდომა ნიშნავს ნებისა და მისი გამოვლენის გაუცნობიერებელ აცდენას. არსებითია შეცდომა, როდესაც იგი მიზეზობრივ კავშირშია გარიგების დადებასთან, ანუ, როდესაც ამ შეცდომის არარსებობისას არ მოხდებოდა ამ ფორმით გარიგების დადება.

ამ კუთხით წინამდებარე შემთხვევაში კიდევ ერთხელ უნდა შევამოწმოთ წარმოდგენილის ნების გამოვლენისას განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლები. წინამდებარე კაზუსში როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფლებამოსილების ფარგლებს წარმოადგენდა შესაძენი საჩუქრის გვაროვნული დაკონკრეტება (ფირფიტა) და ამისათვის გადასახდელი ფასის ოდენობა (50 ლარი). ზემოთ ასევე აღინიშნა, რომ არც ერთი მათგანის კუთხით უფლებამოსილების ფარგლების გადაჭარბებას ადგილი არ ჰქონია. ამრიგად, სრულად იქნა განხორციელებული წარმოდგენილი პირის მიერ გამოვლენილი ნება.

დასკვნა: (არსებით) შეცდომას ადგილი არ ჰქონია.

მოცემულ კაზუსში არ იკვეთება შეცილების სხვა შესაძლო საფუძველი ან ასეთის შემონშების მიზანშეწონილობა.

შედეგი: შეცილების საფუძველი არ არის სახეზე.

მართალია ბ-ნმა ბონამ თავისი უარით სურვილი გამოთქვა ხელშეკრულებიდან თავის დახსნაზე, ანუ შეცილებაზე, რაც თავისთავად მიიჩნევა შეტყობინებად შეცილების შესახებ, მაგრამ შეცილება მაინც ვერ განხორციელდება შესაბამისი საფუძვლის არარსებობის გამო. შესაბამისად არც შეცილების ვადის დაცვის საკითხი განიხილება.

შუალედური შედეგი: მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელდა ნამდვილი შეცილება სკ-ის 79-ე მუხლის გაგებით.

III. მოთხოვნის განხორციელება

ფაბულიდან არ იკვეთება გარემოებები, რომლებიც შესაძლოა აფერხებდეს ან შეუძლებელს ხდიდეს მოთხოვნის განხორციელებას.

შუალედური შედეგი: მოთხოვნა განხორციელებადია.

საბოლოო შედეგი: ზაქარიას აქვს უფლება მოსთხოვოს ბ-ნ ბონას ნივთის საფასური 49 ლარის ოდენობით სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

კაზუსი №5

15 წლის გოგა კობას კომპიუტერულ მაღაზიაში შეათვალიერებს Apple-ის "ნოუტბუქის" უახლეს გამოცემას. გოგას, რომელსაც მშობლები ხშირად ანებივრებენ ახალ-ახალი ნივთებითა და ძვირადღირებული საჩუქრებით, ძალიან უნდა თავი მოიწონოს ამხანაგებში ახალი "ნოუტბუქით". იგი სთავაზობს კობას ფასის (2000 ლარის) ნაწილის, კერძოდ 100 ლარის ადგილზე, ხოლო დანარჩენი 1900 ლარის მეორე დღეს გადახდას. გოგას იმედი აქვს, რომ მშობლები არ იტყვიან უარს მისთვის ახალი კომპიუტერის შეძენაზე. იმავე საღამოს გოგას დამრიგებელი ტელეფონით უკავშირდება მის მშობლებს და ესაუბრება ბოლო დროს წარმოქმნილ პრობლემებზე გოგას სწავლასთან და მის გაკვეთილზე დასწრებასთან დაკავშირებით. ამ ამბით გაბრაზებული მშობლები უარს ამბობენ ახალი "ნოუტბუქის" შეძენაზე.

მეორე დღეს კობა გოგასგან ითხოვს დარჩენილი ფასის, კერძოდ 1900 ლარის გადახდას.

აქვს მას ამის უფლება თუ არა?

ამოხსნა:

კობას მოთხოვნა გოგას მიმართ 1900 ლარის გადახდაზე

შესაძლოა კობას გოგას მიმართ ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს ნივთის საფასურის გადახდა 1900 ლარის ოდენობით სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

მოთხოვნის წარმოშობა

მოთხოვნის წარმოშობისათვის კობას და გოგას შორის სახეზე უნდა იყოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის წინაპირობებია ორი

ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა, კერძოდ, ნამდვილი ოფერტი და ნამდვილი აქცეპტი (შდრ. სკ-ის 329-ე და მომდევნო მუხლები).

მოცემული ვაზუსიდან არ იკვეთება ოფერტისა და აქცეპტის დეტალები და არც მათთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემები. ამრიგად, ივარაუდება, რომ მხარეები ამისათვის სათანადო წესით შეთანხმდნენ ხელშეკრულების ძირითად პირობებზე.

თუმცა, საგულისხმოა ის გარემოება, რომ გოგა არის 15 წლის და მაშასადამე, სკ-ის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე. სკ-ის მე-15 მუხლის მიხედვით შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ამასთან, თანხმობა შეიძლება გაიცეს წინასწარ და მხარეების შეთანხმების შემდეგაც (მოწონება) (სკ-ის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი). ფაბულის მიხედვით გოგას მშობლებს არ განუცხადებიათ წინასწარი თანხმობა "ნოუტუქის" შექმნაზე. თუმცა, გოგას იმედი ჰქონდა, რომ ისინი მოიწონებდნენ მის გარიგებას. ამიტომ შეუთანხმდა გოგას და ნაწილობრივ გადაიხადა კიდევ ნასყიდობის ფასი. გარიგების მოწონებამდე იგი არის მერყევად ბათილი და მისი ნადმვილობა დამოკიდებულია კანონიერი წარმომადგენლის მოწონებაზე (სკ-ის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი). მაშასადამე, გოგასა და კობას გარიგება გოგას მშობლების მეორე მის შემდგომ მოწონებამდე არის მერყევად ბათილი გარიგება, რომელიც არ წარმოშობს უფლებებსა და მოვალეობებს. ფაბულის მიხედვით გოგას მშობლებმა უარი უთხრეს მას "ნოუტუქის" შექმნაზე. შესაბამისად, გარიგების მოწონება არ განხორციელდა.

თუმცა, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა/მოწონება არ არის საჭირო, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებიდან იღებს მხოლოდ სარგებელს (სკ-ის მე-15 მუხლი). სარგებელი სახეზეა, როდესაც პირი იძენს უფლებებს ან სხვა ქონებრივ უპირატესობებს და ამის სანაცვლოდ არ იტვირთება ვალდებულებებით. მოცემულ შემთხვევაში გოგასა და კობას შორის საუბარია ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რომელიც ორივე მხარისათვის წარმოშობს როგორც უფლებებს, ისე ვალდებულებებს. კერძოდ: გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს მიანწოდოს საქონელი და გადასცეს მას საკუთრების უფლება ქონებაზე, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი (სკ-ის 477-ე მუხლი). ამრიგად, გოგასათვის კობასთან დადებული გარიგება არ იყო მხოლოდ სარგებლის, არამედ ასევე ვალდებულებების მომტანი, ვინაიდან მას, როგორც მყიდველს ეკისრებოდა შეთანხ-

მებუღი ფასის, ანუ 2000 ლარის გადახდის ვალდებულება. ამრიგად სახეზე არ გვაქვს სკ-ის მე-15 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს მხოლოდ სარგებელს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში გოგასა და კობას შორის დადებული გარიგება დადების მომენტიდან იმყოფებოდა მერყევი ბათილობის მდგომარეობაში და მისი ნამდვილობა დამოკიდებული იყო გოგას მშობლების მოწონებაზე სკ-ის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით, რასაც ადგილი არ ჰქონია.

შუალედური შედეგი: გოგასა და კობას შორის არ დადებულა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. შესაბამისად, მოთხოვნა არ წარმოიშვა.

საბოლოო შედეგი: კობას არ აქვს უფლება მოსთხოვოს გოგას ნივთის საფასურის გადახდა 1900 ლარის ოდენობით სკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

კაზუსი №6

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ „ა“ გადაწყვეტს მიჰყიდოს „ბ“-ს თავისი გუდიაშვილი. იგი უგზავნის მას შემდეგი შინაარსის მეილს:

„გადავწყვიტე, რომ გაგიკეთო საშობაო საჩუქარი და 200 ლარად მოგიყიდო ჩემი საყვარელი გუდიაშვილი. დროზე, სანამ გადავიფიქრე!“

„ა“-ს გადაწყვეტილებით და არაჩვეულებრივად დაბალი ფასით გახარებული „ბ“ სასწრაფოდ გაეშურება მასთან 200 ლარით ხელში და სურს ნახატის წამოღება. აღმოჩნდა, რომ „ა“-ს შეეშალა ფასის მითითება და სინამდვილეში 2000 ლარად აფასებს თავის ნახატს. იგი უარს ეუბნება „ბ“-ს გუდიაშვილის გადაცემაზე.

აქვს თუ არა „ბ“-ს უფლება, მოითხოვოს „ა“-სგან ნახატის გადაცემა?

ამოხსნა:

„ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ ნახატის გადაცემის თაობაზე

შესაძლოა „ბ“-ს ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს „ა“-სგან გუდიაშვილის ნახატის და მასზე საკუთრების უფლების გადაცემა სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

I. მოთხოვნის წარმოშობა

სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობად ითვალისწინებს ნასყიდობის ნამდვილ ხელშეკრულებას, რომლის წინაპირობებია ორი ურთიერთმიფარავი ნების გამოვლენა, კერძოდ, ნამდვილი ოფერტი და ნამდვილი აქცეპტი (მდრ. სკ-ის 329-ე და მომდევნო მუხლები).

I. ოფერტი

ოფერტი არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელიც უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას და ფორმულირებული იყოს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი მიღება უბრალო თანხმობით.

ფაბულის მიხედვით „ა“-მ „ბ“-ს წერილობით შესთავაზა თავისი ნახატის ყიდვა. მის წერილში (მეილში) მოცემულია როგორც თვითონ ნივთი, ისევე მისი ფასი და შეთავაზება მიმართულია ერთი კონკრეტული პირის (შესაძლო მხარის, კონტრაჰენტის) მიმართ. ამრიგად, „ა“-ს მეილი შეიცავს ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას, კერძოდ, ნასყიდობის საგანსა და ფასს, ამასთან იგი მიმართულია ერთი კონკრეტული მხარისაკენ, ანუ „ბ“-სკენ და მიღებულია კიდევ მის მიერ.

დასკვნა: „ა“-ს მეილი „ბ“-ს მიმართ არის ნამდვილი ოფერტი სკ-ის 329-ე მუხლის გაგებით.

II. აქცეპტი

ხელშეკრულების ნამდვილობისთვის აუცილებელია „ბ“-ს მიერ „ა“-ს ოფერტი, ანუ დათანხმებოდა მას. აქცეპტი არის ოფერტზე მიმართული მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, თანხმობა. ამასთან, აღნიშნული ნების გამოვლენა (ოფერის მიღება) შესაძლებელია მოხდეს არა სიტყვიერად (ვერბალურად), არამედ კონკლუდენტურადაც (არავერბალურად), ანუ ქმედებით. ფაბულის თანახმად „ბ“-ს „ა“-სთვის არ მიუწერია საპასუხო წერილი, რომლითაც იგი დაეთანხმა ოფერტით შეთავაზებულ პირობებს, არამედ იგი მაშინვე გაეშურა ნახატის საყიდლად, რითაც თავისი ქმედებით, ანუ კონკლუდენტურად გამოხატა თანხმობა „ა“-ს ოფერტზე.

დასკვნა: „ბ“-მ განახორციელა ნამდვილი აქცეპტი სკ-ის 331-ე მუხლის გაგებით.

შუალედური შედეგი: „ა“-სა და „ბ“-ს შორის გაფორმდა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება.

შუალედური შედეგი: მოთხოვნა წარმოიშვა.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

შესაძლოა მოთხოვნა შეწყდა. სამოქალაქო კოდექსი მოთხოვნის შეწყვეტის რამოდენიმე შემთხვევას იცნობს, მათ შორის: შესრულებას, დეპონირებას და შეცილებას. წინამდებარე კაზუსში მისი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ყურადღებას გავამახვილებთ შეცილების გზით მოთხოვნის შეწყვეტაზე.

შესაძლოა "ბ"-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ ნივთის გადაცემის თაობაზე შეწყდა ამ უკანასკნელის მიერ შეცილების გზით, ვინაიდან იგი უარს აცხადებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, ანუ ნივთის გადაცემაზე და ამით ცდილობს ამ ვალდებულებისაგან (ხელშეკრულებისაგან) გათავისუფლებას. შეცილები-სათვის სავალდებულოა შემდეგი წინაპირობების არსებობა:

- ა) შეცილების საფუძველი,
- ბ) შეტყობინება შეცილების შესახებ (მეორე მხარის მიმართ) (სკ-ის 72-ე და მომდევნო მუხლები) და
- გ) შეცილების ვადის დაცვა (სკ-ის 79-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ა) შეცილების საფუძველი

წინამდებარე კაზუსში "ბ" ვალდებულების შესრულებაზე უარს აცხადებს შეცდომაზე მითითებით. ამრიგად, შესაძლოა შეცილების საფუძველი იყოს არსებითი შეცდომა ნების გამოვლენისას (სკ-ის 72-ე და მომდევნო მუხლები). შეცდომა ნიშნავს ნებისა და მისი გამოვლენის გაუცნობიერებელ აცდენას. არსებითია შეცდომა, როდესაც იგი მიზეზობრივ კავშირშია გარიგების დადებასთან, ანუ, როდესაც შეცდომის გარეშე არ მოხდებოდა ამ ფორმით გარიგების დადება. სკ-ის 73-ე მუხლი არსებითი შეცდომის სახეებად ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც:

- ა) პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა;
- ბ) პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა;
- გ) არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძველად.

მოცემულ შემთხვევაში "ბ" ამბობს, რომ მან ფასის მითითებისას დაუშვა შეცდომა. გარიგების შინაარსში კი ცდომილება არ არის სახეზე, ვინაიდან "ბ"-ს ნების გამოვლენა მიმართულია ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე, რომელიც მოცემული გარემოებების გათვალისწინებით არის გარიგების სწორი ფორმა. შესაბამისად აქ შეცდომა შესაძლოა მდგომარეობდეს არა გარიგების სახეობაში, არამედ მის შინაარსში (სკ-ის 73-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი). მართლაც, "ბ"-ს სურდა 2000 ლარის მითითება და შეცდომით მიუთითა 200 ლარი.

სანამ დასკვნებს გავაკეთებდეთ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სამოქალაქო კოდექსი არსებითი შეცდომის გარდა ასევე იცნობს წვრილმან შეცდომებსაც, რომლებიც გულისხმობს გამომანგარიშებებში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში დაშვებულ შეცდომას, ანუ ე.წ. მექანიკურ შეცდომებს. ისინი არ წარმოადგენს შეცილების საფუძველს და მხოლოდ შესწორებას ითვალისწინებს სამართლებრივ შედეგად (სკ-ის 78-ე მუხლი).

საკითხავია, რა სახის შეცდომაა სახეზე განსახილველ კაზუსში. "ბ"-მ შეცდომა დაუშვა ფასის მითითებისას. ფასი არის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებითი პირობა, რომელზეც (უშეცდომო) შეთანხმების მიღწევა არის ნამდვილი ნასყიდობის ესენციალური წინაპირობა. მართალია შეცდომა დაშვებული იქნა წერილობით განხორციელებული ნების გამოვლენისას, მაგრამ აქ განმსაზღვრელია შეცდომის ობიექტის, კერძოდ, ფასის, როგორც ხელშეკრულების არსებითი პირობის მნიშვნელობა გარიგების ნამდვილობისთვის. ამრიგად, მოცემულ კაზუსში შეცდომა არის არსებითი და ასევე მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან. კერძოდ, "ბ"-ს რომ არ შეშლოდა, იგი ამ ფორმით, ანუ 200 ლარზე არ შეთანხმდებოდა "ა"-სთან.

დასკვნა: სახეზეა სკ-ის 73-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული არსებითი შეცდომა და ამით გარიგების შეცილების საფუძველი სკ-ის 72-ე მუხლის გაგებით.

ბ) შეტყობინება მეორე მხარისათვის

შეცილობის ნამდვილობისათვის აუცილებელი მეორე მხარის შეტყობინება შეცილების განხორციელების თაობაზე. ამას-

თან, აუცილებელი არ არის რაიმე ფორმალური შეტყობინება, სადაც მოხსენიებული იქნება სიტყვა "შეცილება". ამისათვის საკმარისია, შეტყობინების შინაარსიდან იკვთებოდეს, რომ პირს სურს გათავისუფლდეს გარიგებით ნაკისრი ვალდებულებისაგან გარკვეული მიზეზებისა თუ უკმაყოფილების გამო. მოცემულ შემთხვევაში, "ბ"-მ განუცხადა "ა"-ს, რომ იგი შეცდა ფასის მითითებისას და არ აპირებს ნახატის გადაცემას ამ ფასად. ამით, იგი აცხადებს, რომ არ არის მზად, აიღოს თავზე შეცდომით განსაზღვრული ვალდებულება, კერძოდ, 200 ლარად გუდიაშვილის ნახატის გადაცემა.

დასკვნა: "ბ"-ს ამ განცხადებით სახეგა შეტყობინება შეცილების შესახებ.

გ) შეცილების ვადა

კანონი შეცილებისათვის ერთთვიან ვადას ითვალისწინებს (სკ-ის 79-ე მუხლის პირველი ნაწილი). ვადის ათვლა ხდება შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან. მოცემულ შემთხვევაში "ბ"-მ შეცილების საფუძვლის (შეცდომის) შესახებ შეიტყო ნების გამოვლენიდან მეორე დღეს და დაუყოვნებლივ განახორციელა შეცილება.

დასკვნა: შეცილების ვადა დაცულია.

შუალედური შედეგი: "ბ"-მ განახორციელა ნამდვილი შეცილება სკ-ის 79-ე მუხლის გაგებით.

შუალედური შედეგი: მოთხოვნა შეწყდა. "ა"-სა და "ბ"-ს შორის დადებული გარიგება ბათილია "ბ"-ს ნამდვილი შეცილების შედეგად.

საბოლოო შედეგი: **"ა"-ს არ აქვს უფლება მოსთხოვოს "ბ"-ს გუდიაშვილის ნახატის გადაცემა სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brox, Hans: Allgemeiner Teil des BGB (სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი), 24. Neubearbeitete Auflage (24-ე გამოცემა), Carl Heymanns Verlag KG, München 2000.
2. Fritzsche, Jörg: Fälle zum Schuldrecht I (კაზუსები ვალდებულებით სამართალში, ნაწილი I), 3. Auflage (მესამე გამოცემა), Verlag C.H. Beck, München 2008.
3. ჰენშელი, სანდრა: სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, სიესტა, თბილისი 2009.
4. Musielak, Hans-Joachim: Grundkurs BGB (სამოქალაქო კოდექსის საფუძვლები), 10. Auflage (მე-10 გამოცემა), Verlag C.H. Beck, München 2007.
5. ციპელიუსი, რაინჰოლდ: იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, Verlag C.H. Beck, München 2006.